# ნიანგი

7

გამოცემის, 55-ე წელი, (№ 1521)· აპრილი, 1978, ფასი 20 კაპიკი·




მესაქონლეობის ზოგიერთ ფერმებში „უგზოუკვლოდ იკარგება“ ან „უფსკრულში იჩეხება“ საქონელი. შემდეგ ფერმის მესვეურნი თხოულობენ სახელმწიფო სადაზღვევო ორგანოებისაგან დაზღვეული საქონლის ფულადობრივ კომპენსაციას.

— ეე, ღვინია კიდევ გადაიჩეხა!



## გამარჯვებას მოგილოცავ!

შრომით ჩვენმა საქართველომ
ისახელა თავი ისევ
და ახალი გამარჯვებით
საქმე მისი ბრწყინავს მზისებრ!
კომკავშირის თავყრილობას
ნობათებით შეხვდა ერი,
ოთხი გმირით მეტი გახდა
საქართველო ბედნიერი!
ვინც არასდროს უშინდება
თოვლს და წვიმას,
ქარს და გვალვას —
ვაშა შრომის გოლიათებს —
ქარუმს, მამუდს, ხუხუტს, შალვას!
კომკავშირის აღზრდილები, —
მათ რომ კვალში მოჰყვებიან, —
აყვავებენ ბაღებს, ველებს,
მინდვრებს — მწვანენოხებიანს!..
ბაღებს, ბოსტნებს, ციტრუსს, ყანას,
ზვრებს — ოქროსფერმტევნებიანს —
წუთით რომ არ შორდებიან,
თავს შვილივითევლებიან!
დაილოცოს საქმე შენი,
ყველა გმირო, მკლავმაგარო,
მოხუცო, თუ ახალგაზრდავ,
ერის, ქვეყნის ამაგდარო!
საქართველოს ოქროყანას
ვინც უვლით და ვინც ახარებთ,
ვინც სამშობლოს სასიკეთოდ
ფიქრობთ, ზრუნავთ შინ და გარეთ!
საქმე თქვენი დიადია
და მიზანი მაღალია!
დღევანდელი წარმატება
თქვენი ნაამაგარია!
ჩვენი ფუძე, ჩვენი ჭერი
კიდევ უნდა აამაღლოთ —
საქართველოს სადიდებლად,
საქართველოს საამაყოდ!
შრომით, ძმობით, ვაჟკაცობით
სიყვარულში გამოზრდილო —
გამარჯვებას მოგილოცავ,
ხალხო, გულხელდალოცვილო!

ვანო ცინცაძე

## ააა?!

ბიბლიოთეკა

— **ვიცი**, გაგიხარდებათ, ბუღალტერი დაყრუვდა!

**დირექტორი**: ეგ იმიტომ, რომ ჩემს ნათქვამს არ იგონებდა!

— ეკონომისტი დაბრმავდა!

**დირექტორი**: აბა, თვალებს რომ მისწორებდა?!

— კადრების ინსპექტორს ენა ებმება.

**დირექტორი**: ახლაც შემებას პირში!

— მთავარი ინჟინრის ყელზე ლარინგოლოგებმა ხელი აიღეს...

**დირექტორი**: ჩემს ყელთან მაგის ყელი რას მოვიდოდა?!

— თქვენს მოადგილეს თავის კანტური დასჩემდა!

**დირექტორი**: პარკინსონი? ახლაც გამეჭიმოს!

— დამლაგებელი მტვერსასრუტში გაიჭედა, პათოლოგიური ანატომიის კათედრა სწავლობს.

**დირექტორი**: აბა, რა ეგონა, ყველაფერში ცხვირს რომ ჰყოფდა?!

— მე ფსიქოთერაპიის ლაბორატორიაში მაგზავნიან, რატომა ხარ ასეთი ამტანიო.

**დირექტორი**: ყოჩაღ, მერე?

— თქვენ გაწინაურებენ!

**დირექტორი**: ასეა, როცა ხელმძღვანელობის უნარს გამოავლენ!

ავთანდილ ადისეი

## შინაურულა

ხუთი წელია ამ დარგში ვმუშაობ და ჯერ არავის დავუჯაბნივარ! — თქვა ერთმა.

— ეგ რა სათქმელია, რვა წელი ვდგავარ ვახტზე და პირველობა არავისთვის დამითმია! — დაიკვეხა მეორემ.

— ძმებო, მე გადაგაჭარბეთ: თორმეტი წელი დაუღალავად ვიბრძვი და ჯერ ერთხელაც არ შემოუტევია ვინმეს, ყოველთვის კაცურად ვიხდი ადამიანურ მოვალეობას! — დაიტრაბახა მესამემ.

— ეჰ, ბიძიკოებო, — დანანებით თქვა მეოთხემ, — მთელი ოცი წელი ხელიდან არ გამიშვია არც ერთი შემთხვევა, სადაც კი დამნიშნავდნენ, არ შეიძლებოდა, პირველი არ ვყოფილიყავი!..

— გასულხარ პენსიაში და ეგ არის! — თქვა პირველმა.

— სწორი ბრძანდებით, — დაემოწმა პირველს მეორე, — ბოლო დროს ყველგან თამადის მოადგილედ ნიშნავენ.

ვაჟა ჩორდელი



უსიტყვოდ

# უსულგულობა

**(სცენა სახლმმართველობიდან)**

**სახლმმართველი:** ვერ ვიტან ამ გულგრილობას, **საქმისადმი** უსულგულო დამოკიდებულებას, არაფერზე რომ არ იწუხებენ თავს. თუ ხარ სამსახურში, უნდა იწვოდე კიდეც საქმისათვის, ზოგი კი ისეა, უბრალოდ, ადგილს ათბობს, გინდ ყოფილა, გინდ არა.

ანაზდად შემოვარდება ინჟინერი:

**ინჟინერი:** პატ. ხალამპრე ერთი კვირაა თურმე ნაგვის მანქანას არ ჩაუვლია კვანჭიანის ქუჩაზე და მობინადრეები ღელავენ, გვიშველეთ რამე, ყელამდე ნაგავში ვზივართ...

**სახლმმართველი** ა. ბატონო, კიდევ ერთი მაგალითი გულგრილობისა, მე რა უნდა ვქნა, სახლმმართველმა?! მე იმიტომ ვზივარ აქ — „ცისესა ეგზომ მაღალსა“, როგორც რუსთველი იტყოდა, რომ ნაგავს ვუყარაულო? რა გინდოდა კვანჭიანზე, თუ კაი კაცი ხარ? სად ის და სად ჩვენი სახლმმართველობა?!

**ინჟინერი:** რაღაც იყო შესაკეთებელი და...

**სახლმმართველი:** ჰოდა, რას გეტყვი იცი? როგორც მარტო დაძვრები ამ ქუჩებში და უჩემოდ რაღაცებს აკეთებ მობინადრეებს შორის, ისე წადი და შენ უშველე მაგ ნაგავსაც, მე კი არ გამივლია იმ ქუჩაზე, შენ გაიარე, აბა!

(ინჟინერი ხელს ჩაიქნევს და გარბის.)

**სახლმმართველი:** იმას ვამბობდი, სამწუხარო სენია ეს გულგრილობა, ხომ ხედავთ რა მოსდევს ამას და მერე მე ვიტეხო თავი? არადა არა, მაგისთვის არ დავუყენებივარ აქ მმართველად.. მაგათ რომ ვუყურო, ეს გარდამავალი დროშები არ შემრჩება!

(შემორბის თანამშრომელი.)

**თანამშრომელი:** პატ. ხალამპრე, წყალი რატომ არ მოდისო, მობინადრეები ჩივიან!

**სახლმმართველი:** ა, ხედავთ? ახლა წყალი რატომ არ მოდისო, იწვნიეთ, ბატონო, ისევ გულგრილობის და უსულგულობის შედეგი; მაგრამ მე რა შუაში ვარ აქ საქმეში, ეს მე მეხება?

**თანამშრომელი:** ჩვენი მობინადრეები არიან!

**სახლმმართველი:** ე. ბიჭო, მე წყალი ჯიბეში ხომ არ მისხია, მე რა უნდა ვქნა?!

**თანამშრომელი:** იქნება დაგერეკათ, გამოუშვებენ!

**სახლმმართველი:** რომელი წმინდა გიორგი მე მნახე, გველეშაპს შევებრძოლო და წყალი გამოვაშვებინო! დაურეკონ და გამოაშვებინონ! ბიჭოს, მეხებოდეს მაინც უშუალოდ. არ იტყვიან, რას ეჩრებიო?

(თანამშრომელი ხელს ჩაიქნევს და გავარდება.)

**სახლმმართველი:** ა, ბატონო, რაზე მაწუხებენ! ყველას მაგივრად ვინც გულგრილად ეკიდება საქმეს, მე როგორ უნდა ვიმუშაო?!

(რეკავს ტელეფონი.)

**სახლმმართველი:** გისმენთ! სახლმმართველი ვარ, დიახ! რაშია საქმე, ამხანაგო, დაინგრა ქვეყანა? თავზე გვექცევა? აბა, რა მოხდა?! შეიძლება ასჯერ დარეკოთ ერთსა და იმავე საკითხზე? მერე რა, რომ გამოყონა! ცხელია? მით უკეთესი! შე დალოცვილო, ცხელ წყალში დგომას რა სჯობია ამ სიცივეში. ვინ მასხარაობს, ამხანაგო, მომითმინეთ, მომითმინეთ, საქმეც მაგაშია, თუ ერთ დღეს ითმენთ, ახლა რა დაგემართათ, რა პანიკას ტეხთ? გასკდეს თუ გასახეთქია, აბა, ახლავე ავტეხოთ განგაში? ჯერ ბავშვი არ დაბადებულაო, როგორც ხალხური სიბრძნე გვასწავლის და... რაო? იჩივლებთ? კი ბატონო, სადაც გნებავთ, მხოლოდ არ დაგავიწყდეთ, რომ მაგ მილებმა 20 წელიწადი უნდა გასძლონ, ასე გვიწერია მობინადრის ცნობარში, აბა! მერე რა, რომ ჟონავს, უფლება არა გვაქვს, სულაც რომ თხლიშინით მოდიოდეს. არა, ვერავის ვერ გამოვგზავნი, ყველა ობიექტზეა (კიდებს ყურმილს). არ შემიცვლეს, კაცო, ამ პრეტენზიებით? მე რომ ამათ ვუყურო, დღეში ას ადგილას სკდება მილი და ამას მოვდომბნივარ მე. მეხებოდეს მაინც უშუალოდ, წავიდეს და საქვაბეში იმტვრიოს თავი. მოკლედ, იმას ვამბობდი, სანამ ეს გულგრილობა და უსულგულობა არ მოისპობა, საქმეს არ ეშველება.

(შემოვარდება თანამშრომელი.)

**თანამშრომელი:** პატ. ხალამპრე, ცხელი წყლის მილი გასკდომიათ და შველას ითხოვენ.

**სახლმმართველი:** ეს კიდევ ახალი ამბავი! სად იყვნენ აქამდე, გასკდომას ელოდებოდნენ? ახლა მე რას ვუშველი, რატომ არ შეგვატყობინეს დროზე?!

**თანამშრომელი:** როგორ არ შეგვატყობინეს, მაგრამ ვილაცას, სახლმმართველობიდან, ალბათ, ხის თავი აბია, უპასუხია — სანამ არ გასკდება, რატომ გვაწუხებთო!

**სახლმმართველი:** რაო? მაშ, ეს ის ვაჟბატონია, წელან რომ მელაპარაკა, არა? მე მაგას ვუჩვენებ ხის თავსა, სულაც რომ თავზე დაენგრეს ჭერი, არავისაც არ გავუგზავნი, წავიდეს და იხტუნოს!

(გრიალით ჩამოინგრევა ჭერი.)

**სახლმმართველი:** ვაიმე, რა ხდება, ჭერი გვენგრევა თავზე, უშველეთ რამე!

**თანამშრომელი:** რა უნდა ვუშველოთ, ეს ის არის, შეკეთებას რომ გთხოვდათ წელან, ჟონავსო.

**სახლმმართველი:** ფუი, რა გულგრილობა და უსულგულობაა, თუ ჩემს თავზე იყო ვერ თქვა, მაგ ოჯახქორმა?!

**ჯეირანი**

## ნაქვესები

● **გამყიდველმა** დაიჩივლა: ხალხმა სულ დაკარგა ზრდილობა, მე მათ თვალებში შევცქცინებ და ისინი მე — ხელებშიო!

● **ავტობუსის** მძღოლმა ჩაილაპარაკა: კაცი კაცითაო და მძღოლი უბილეთოებითაო!

● **მექრთამემ** თქვა: მექრთამის ფეხქვეშ ფული უნდა იწვოდესო!

● **ერთმა** კარიერისტმა თავისი კარიერა კარიერში დაასრულა.

**ელგუჯა ჯანელიძე**

## განცხადებები

● ვატარებ წყლის ნაყვის გაკვეთილებს

● შეამოწმეთ თქვენი ლატარიის ბილეთები! — ხომ ადგილზეა?!

● ღვინის ქარხანას ესაჭიროება კუჭისწყლულიანი საწყობის გამგე!

● ლითონბაზა მუდმივ სამუშაოზე იწვევს ყავის მოდულების საქმის მცოდნე მუშაკს!

● ვატარებ წყლის ნაყვის გაკვეთილებს!

● ვწერ ათას მეორე ღამეს. არ დაგავიწყდეთ ჩემი გალვიძება!

● მსურველები ამყავს ლიფტით მეშვიდე ცაზე!

● ნაცარში კოვზჩავარდნილებს ვასწავლი გედის სიმღერას!

● იყიდება ავი ძაღლი, რომელიც თვითონაც ჭამს და სხვასაც აჭმევს!

● ვასუქებ ალალ მეწველ ძროხას!

● ვეძებ არამკითხე მოამბეს დასაბეგვად!

**ავთანდილ ქიმერიძე**

ნახ. გ. ფირცხალავასი



— უკვე აწონ-დაწონე და დარწმუნდი, რომ შენთან მუშაობა არ ღირს!

ნახ. მ. აბაშიძისა



— ამ გაზაფხულზე მაინც მათხოვე ჩემი ტრაქტორის ნაწილები ეზო რომ შემოგაღობიე!



— აბა, რა გამათხოვებს, სახეზე არავინ მიყურებს, ყველა ხელებში მომჩერებია!

# ეპიგრამები

## ქება ამაო ქებათა

მწერალმა არამწერალი
მწერლად აქცია ქებითა —
ეს ცოდვაც წამოიკიდა,
უწინაც ბევრი ეკიდა.
თავად არ იყო ზედსი და
სხვას დააფარა ეგიდა.

## პასუხი ყველა სენსაციურ კითხვაზე

თოვლის კაცი, ზღვის ურჩხული
და ზღაპრებით სავსე თეფში
არსებობენ... დასავლეთის
ბულვარ-ჟურნალ-გაზეთებში!
მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებში!

## ღია ბარათი მჩხრეკელს

შენ ხომ ცივი ხარ! შენ შეშა გინდა,
დაჯექ ბუხართან, ითბე ხელები!
ახალ წიგნსა წერ — შეშაა წმინდა,
დახიე, დაწვი, მოგეშველები!
შეშად აქციე ყოველი თქმული —
შენ ხომ თოშივით ცივი გაქვს გული!

ნახ. ა. ოქროპირიძისა




გაზიანი წყლები

ნახ. ა. ერაძისა



უსიტყვოდ



ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

ნახ. მ. მჭედლიშვილისა



უსიტყვოდ

## ქმნილების მწვერვალი

„ვპოვე ქმნილება! — წერდა მწერალი, —
ამისრულდაო სურვილი მწველი!“
მეც ვპოვე უშბა — დიდი მწვერვალი
და ვხედავ, მაგრამ ასვლაა ძნელი!

## შექმნათა შესწორება

ქმარი ჩიოდა: „მაღალო ღმერთო,
გულზე მაჩნია კლანჭების კვალი.
რად არ დამბადე ადამზე ადრე,
როცა ჯერ კიდევ არ იყო ქალი?!“

## ქების ხარისხისათვის

ზოგი ქმნის და ზოგი თათხავს,
ზოგი ფსალმუნს წერს...
წერე, მაგრამ ასე ხშირად
ნუ ახსენებ ერს!

აკაკი გელოვანი

**გუშინდელ** დღესავით გვახსოვს ჩვენი მოჭრა-დაბეჭდვა. ლაპლაპით, ვერცხლისფერ და ოქროსფერ ნაკადულებად გადმოვიღვარეთ ყუთებსა თუ თოფრებში, ჩვენს დედმამიშვილებს თვალი ერთხელ კიდევ შევავლეთ და... მშვიდობით! გავუყევით სხვადასხვა გზებს — ვინ მეტროსაკენ, ვინ სალაროების, ვინ კიდევ მაღაზიებისაკენ!

მოჭრითაც იმიტომ მოგვჭრეს და დაბადების წელიც გულზე იმიტომ დაგვაბეჭდეს, რომ მუდამ გვქსომებოდა ჩვენი უპირველესი მოვალეობა: დროზე, მისხალ-მისხალ დავუბრუნდეთ ადამიანებს!.. ასე კი დაგვმოძღვრეს, მაგრამ ვინ უყურებს ან ჩვენს მოვალეობას, ან ჩვენს ხდომა-წადილსა?!

მაინც რა უბედო ბედისანი ვართ! ჩვენივე თავისა ზოგჯერ ვეღარც თავი გაგვიგია და ვეღარც ბოლო. ვართ და არცა ვართ!

აბა, რა ყოფნაა, როცა მომხმარებელს ვეკუთვნით და გამყიდველს ვრჩებით?! რაღა სიხარულია, როცა ხელიდან ხელში უნდა გადავდიოდეთ და ერთ ადგილზე კი ვიტკეპნებით?!

რა გინდა, რომ ქნა? რა შეუძლია ხურდა ფულსა? დიდი-დიდი ცხვირი ჩამოვუშვათ, ავოფოფროთ, ავჩხრიალდეთ, შუბლზე სიმწრის ოფლი დაგვედინოს. ესაა და ეს.

არა, თქვენ თუ არ გადაგვთვალეთ, ჰაიჰარად, სხვათა შორის კი არა კაპიკ-კაპიკ თუ არ დაგვაბრუნეთ, ისე ვერაფერს გავხდებით!..

ხალხი არა ხართ?! დაუბღავვეთ, დაუდუნეთ, დაუმოკლეთ ხელი ხელცივსა!.. დაუმოკლეთ, თორემ სინდისზე აღებული ხელი, რაკი ჩვენ არ დაგვინდო, გვერწმუნეთ, არც ქაღალდის ფულს დაინდობს!..

ზაზა კაციაშვილი

იმის გამო, რომ საკმარისი ყურადღება არ ეთმობა ჯანმრთელობის დაცვის მატერიალური ბაზის განვითარებას და სისტემატურად არ სრულდება მრავალი წლის მანძილზე მშენებლობის გეგმები, მოსახლეობის საავადმყოფო საწოლებით უზრუნველყოფის დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩა საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს.

საქ. კპ ცკ VIII პლენუმის მასალებიდან

ნახ. გ. ლომიძისა



ქრონიკული დაავადება

## აგვიკლეს ამ „ანონიმკებმა“!..

ერთ ტყეში, სადამოს სხდომაზე,
კოდალას საკითხი წყდებოდა!..
თვითონაც იქ იყო საწყალი
და სული შიშისგან სძვრებოდა...
პირველად კაჭკაჭმა დაიწყო —
უფროსის ხოტბით და შექებით,
მერე კი თვით საქმის შესახებ
ჩხიკვმა მოახსენა შეკრებილთ:
„მე მხოლოდ სულ მცირედს აღვნიშნავ,
თქვენც იცით, ყველა არ ითქმება!
არ ვიცით, რა ზომებს მივმართოთ,
აგვიკლეს ამ „ანონიმკებმა“!..
წერენ, რომ კოდალას ხმაურით
შეწუხდნენ მხეცები ჭალაში,
რომ მწყერმა სასახლე აიგო
ხევსგალმა, ტყისპირა ყანაში,
რომ ტყეში ნისკარტის კაკუნით
ირღვევა სიწყნარე, სიმშვიდე!..
მითხარით, ვიღაცის გულისთვის
ჩვენ ნერვებს რად უნდა ვიშლიდეთ?!
ამ ტყეში, აბა, სხვა ვინ არის
თქვენსავით ბრძენი და ნაკითხი?!
ამიტომ, გთხოვთ, კარგად განსაჯოთ
ეს პერსონალური საკითხი!“
— „ტყუიან!“ — შესძახა შაშვმა და
შეკრებილთ ხმამაღლა გასძახა:
— „ნუთუ, ვერ იცანით, მტრის ხელით
ავს მოფარებული განზრახვა?!“
— „სწორია!“ — იყვირა წიწკანამ, —
„ისე მე დამირჩეს წვრილშვილი!
ხეებს თუ მატლები გაახმობს,
ჩვენც დავიხოცებით შიმშილით.
თქვენც იცით კოდალას ზრუნვა და
მისგან გაწეული ამაგი,
სჯობს თვითონ მწერალი მოვძებნოთ,
ან მისი სამყოფი ალაგი,
რომ თავი ნაწერზე ვუხალოთ,
მელანი წავუსვათ ცხვირ-პირზე,
იქნებ, ამის შემდეგ დამკარდეს
ჩვენს ტყეში სიტკბო და სიმშვიდე!
წერილიც აქა გვაქვს, კონვერტიც,
დროა, ბნელს დაადგეს ნათელი!“
— „სულელო, რით გინდა შეიცნო
მარცხენა თითებით ნაწერი?!“ —
იყვირა უფროსმა და რისხვით
სამელნე მაგიდას ახალა...
ყვანჩალა წამოდგა კანკალით
და თავი მორჩილად დახარა:
— „უფროსო, ერთს ვიტყვი, ნუ მიწყენთ,
არა ვარ გრძელ სიტყვას ჩვეული,
ზოგივით არ წამომიღია
სახლიდან საერთო რვეული.
საკითხი ნამდვილად მძიმეა,
ვაითუ, ზევითაც დაწერონ,
კოდალას ვინ ჩივის, სხვა საქმე
გაბერონ, ცომივით გაწელონ?!.
მაშინ ხომ შევრცხვით და ეგ არის,
საქვეყნოდ გაგვიტყდა სახელი!
მიტომაც თავს რეტი დამესხა,
გულ-ღვიძლში ჩამექცა ნაღველი!
ამიტომ ბრძანე და აღსრულდეს,
რომ საკითხს დაესვას წერტილი,
შენა ხარ პირველი, ჩვენ მხოლოდ
აქ ტაშისკვრისთვის ვართ შეყრილი!“
დასჭექა უფროსმა მრისხანედ,
ყვირილით, ფეხების ბაკუნით
და ტყეში, სიმშვიდის მოტივით,
აკრძალეს კოდალას კაკუნი!..

* * *

იგავი ფორმით და ფაბულით
ტყის ლეგენდასავით ძველია...
რა ექნათ, „მწერლების“ მოძებნა,
თქვენც იცით, ნამდვილად ძნელია!

ვალერიან მამუკელაშვილი



## ყვავილთა ქება!.

— აბა, მიხაკი, მიხაკი!

— რა ღირს?

— სამი მანეთი!

— თითო?..

— თითო, მაშა! ისე, თუ გინდა, ერთ ცალს სამად გაგიჭრი...— ხუმრობს მეყვავილე.

— ვარდი, ვარდი! ყვავილების მეფე!

— როგორ ყიდი?

— შენ ვარდი ნახე, ფასი მერე იკითხე!

და იყიდება, იყიდება:

ვ ა რ დ ი — ყვავილთა მეფე, მარადიული სიყვარულის სიმბოლო.

ლ ო ტ ო ს ი — ტურფა ქალის ამქვეყნად გაჩენის სიმბოლო.

ტ ი ტ ა — ბავშვთა ბედნიერების სიმბოლო.

ფ უ რ ი ს უ ლ ა — უწყვეტი კავშირის სიმბოლო.

ყ ა ყ ა ჩ ო — უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის სიმბოლო.

შ რ ო შ ა ნ ა — სიხარულისა და სიცოცხლის დაფიონები.

ე ნ ძ ე ლ ა, ყ ო ჩ ი ვ ა რ დ ა, ი ა — გაზაფხულის მახარობლები, მაყრიონები....

შორს წაგვიყვანს ამ ტურფა თაიგულის ჩამოთვლა, დასახელება... მითუმეტეს, — მიმტვრეულ-მომტვრეულისა და ფეხქვეშ გათელილის...

— აბა, მიხაკი, კაი მიხაკი!

— აბა, ვარდი, ვარდი!

— რა ამბავია, რა ფასებია!?

— მაშ, მიცვალებულისათვის ადამიანი ფულს დაიშურებს? ეეე... კალათა ხომ არ მიგაქვს, ყვავილია, რა?! მეც 40 და 60 მანეთს ხომ არა გთხოვ?

ზიზილა არა გაქვთ, სპეკულანტებო, ქორვაჭრებო და მათ ნებასურვილს აყოლილო ადამიანებო, ზიზილა — უბრალოებისა და თავმდაბლობის სიმბოლო! ზიზილა დავადოთ გულზე, ან ერთი-ორი ცალი სხვა რამ ყვავილი, რათა გულით საყვარელ, სამუდამოდ დაკარგულ ადამიანს ასობით კალათა არ დავახვავოთ თავს!

რას გამოვხატავთ ამით?

## რა დავიშავეს?

ჭკუათხელო და ხელმრუდევ,
რა ოჯახში ხარ გაზრდილი?!
შენ მგზავრი როგორ გიწოდო,
ბარბაროსი ხარ ნამდვილი!

კომფორტაბელურ ავტობუსს
შენ გაუჩინე „წყლულები"!..
მაგ დერმანტინის ახევას,
სჯობს, შენ აგეხეს ყურები!




მეტროში, ავტობუსში, თუ
ტროლეიბუსის სალონში,
შეხვალ, დაკაწრავ სავარძლებს,
ზედ გვარს დაწერ და ამოშლი!..



შენს ნაცოქმედარს შევყურებ
და ლამის ენა დამებას!..
რა დაგიშავა საზურგემ,
რა დაგიშავეს სკამებმა?!

ვალერიან მოსაშვილი

ნახ. ა. ოქროპირიძისა



უსიტყვოდ

## ექიმი გვირჩევს

მარტიც მიიწურა. საგრძნობლად დათბა. ბუნებამ ამოისუნთქა, ჰაერი [illegible] სურნელით გაიჟღინთა. გაზაფხულის მოსვლას, ჰაერის ცვლას თან მოჰყვება მოთენთილობა და უხასიათობა. ამ დროს თავს იჩენს სხვადასხვა რევმატული, ალერგიული დაავადებანი, სტენოკარდიული მოვლენები და სხვა.

გარდამავალ პერიოდში დიდი სიფრთხილე გვმართებს, სითბომ არ უნდა გაგვათამამოს, უცებ არ უნდა გადავიდეთ სეზონურ ტანსაცმელზე. განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო კვების პროდუქტების მიღებისას. საგულდაგულოდ უნდა გაირეცხოს ბოსტნეული, განსაკუთრებით — წიწმატი, რომ დროულად ავიცილოთ თავიდან სხვადასხვა ინფექციური სახის დაავადებანი. მაგრამ მიუხედავად სიფრთხილისა, პროფილაქტიკური სამუშაოების დროულად ჩატარებისა, კვებისა და შრომის რეჟიმის სწორი განაწილებისა, შეიძლება ადამიანს მოულოდნელად ბრმა ნაწლავის შეტევა მოუვიდეს. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გამოვუძახოთ სასწრაფო დახმარებას, მაგრამ სანამ თეთრხალათიანი დასტაქრები მოვიდოდნენ. ავადმყოფს ჩვენვე უნდა აღმოვუ-



ჩინოთ ადგილზე პირველი დახმარება. ავადმყოფი მაშინვე უნდა დავაწვინოთ გულაღმა, სასწრაფოდ გავუსინჯოთ წნევა, პულსი, ტემპერატურა, განვსაზღვროთ სისხლში ლეიკოციტების, ერითროციტების, ტრომბოციტების რაოდენობა. დავადგინოთ როე და სისხლის ჯგუფი. ამის შემდეგ უნდა ვაწარმოოთ ილეოცეკალური მიდამოს ინსპექცია და პალპულაცია. საოპერაციო მიდამო დავამუშაოთ იოდის ხსნარით. ვაწარმოოთ ნოვოკაინის 3 პროცენტიანი ხსნარით ადგილობრივი ანესთეზია. ამის შემდეგ ვაკეთებთ მაკბურნეის განაკვეთს. გაკვეთა იწარმოებს შრეობრივად, აპენდიქსის შემდეგ უნდა ჩავაბრუნოთ ტაკვი შიგნით და მუცლის ღრუში შევიყვანოთ პენიცილინის ხსნარი 200.000 ერთეულის რაოდენობით, ამის შემდეგ დავხუროთ ჭრილობა...

ნომადი ბართაია

# ნიანგი გისმენთ!

**გეგეჭკორის** რაიონის სოფელი **ჭაბურთა** რითაა სხვა სოფელზე ნაკლები, მაგალითად?! ჰოდა, რატომ არ უნდა გვქონდეს ხეირიანი გზა, წყალსადენი, მაღაზია, კლუბი, სატელეფონო ხაზი, სასადილო, პურის წერტი, აბანო (დაილოცოს ტაშტი და წვიმის წყალი!), დაწყებითი სკოლის ნორმალური შენობა? კვირაში ერთხელ რატომ უნდა ვღებულობდეთ ჟურნალ-გაზეთებს?

ნიანგო ბატონო, რით შეგიძლია დაგვეხმარო, მაგალითად?!

—:—:—

**ბოჟო,** ზესტაფონის რაიონის სოფელ **ჩხვიის** მცხოვრებლებს მარტო ზაფხულობით რომ გვართობს კლუბი, ხშირად რომ სიბნელეში ვართ და ტელევიზორიც რომ თავის ჭკუაზე მუშაობს ტელეანძის უხეირობის გამო, რავა ფიქრობ შენე, არის ეს ამბავი სანიანგო, თუ არა?

—:—:—

**ნიანგს** ვენაცვალე, **ხაშურში, გაგარინის ქუჩაზე** წყალი არა გვაქვს, ზამთრობით ვიყინებით და კაციშვილი არაა ჩვენი პატრონი, ახლომახლო საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი არსად გვეგულება!.

ჰოდა, ნიანგო, თუ კაცი ხარ, ამოჰყევი მტკვარს ცურვით, ჩამოდი ჩვენთან... შენი ბასრი ფიწალი, ნამდვილად დააჩქარებს ჩვენს კეთილმოწყობას!

—:—:—

**ძია** ნიანგო! **წალენჯიხაში,** ზუგდიდი-ჯვარის მარშრუტის ავტობუსში მძღოლები რომ მოსწავლეებს არ უშვებენ და ბავშვები საათობით ოჩამჩირე-ჯვარს რომ ელოდებიან, რა იქნებოდა, იმ მძღოლებისთვისაც მოგედერა შენი ბასრი ჩანგალი!?

—:—:—

**გამარჯობა,** ძამა! **მახარაძეში** რომ სოფელია, **დვაბზუ,** გაგიგონია? ჰოდა, სანამდე უნდა ვიყოთ ურადიოდ, უტელეფონოდ, ხშირად უსინათლოდ და უპუროდ? წამოიძღვანიე მაგი შენი ფიწალია, თუ ჩანგალი, პაწა გამოიჩოჩე თბილისიდან და მოდი ერთი ჩვენთან, რაცხას აქედანაც გაგატანთ საგზილოს!

—:—:—

**პატივცემულო** ნიანგო! **ტყიბულში, კიროვის ქუჩის** მეორე შესახვევში წვიმის დროს ტალახში იხრჩობიან მგზავრები და თუ ვერაფრით დაგვეხმარებით, დახურული კალოშებით მაინც მომარაგე რაიონის მაღაზიები!

**მოისმინეს მ. გველესიანმა და ვ. ცინცაძემ**










— *მხოლოდ განსხვავებული სასმისი!*

## დაბეჭდილის კვალდაკვალ

**„ნიანგის"** 1977 წლის 22-ე ნომერში დაბეჭდილ წერილში („ბარათები ნიანგს") **თელავის რაიონის სოფელ ლეჩურის** მცხოვრებნი ითხოვდნენ ხიდის შეკეთებას მდინარე სტორზე.

თელავის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომიდან რედაქციას მოსწერეს, რომ მდინარე სტორზე არსებული ხიდი შეკეთდა. წელს დაიწყება ახალი, კაპიტალური რკინაბეტონის ხიდის მშენებლობა.

—:—:—

**ჩვენი** ჟურნალის წლევანდელ პირველ ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნა („წერილებს გვწერენ") ამხელდა **ქიათურის რაიონის სოფელ ჩხირაულში** გზის უვარგისობას.

ქიათურის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან გვაცნობეს, რომ საქართველოს კპ ქიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და ქიათურის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილეს სოფელ ჩხირაულის კეთილმოწყობის საკითხი. მანდატით მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციას დავალებული აქვს ტყემლოვანა - ჩხირაულის გზის კეთილმოწყობა 1978 წლისათვის.

* * *

**გალის** რაიონის სოფელ **თაგილონში** ელექტროგაყვანილობა დაძველდა და სოფლის მცხოვრებთ განათება არა აქვთო, დაიბეჭდა „ნიანგის" პირველ ნომერში („წერილებს გვწერენ").

გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნ. თოდუა რედაქციას ატყობინებს, რომ კრიტიკული შენიშვნა სინამდვილეს შეეფერება.

ამჟამად სოფელ თაგილონში ელექტროგაყვანილობა აღდგენილია.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გემაზაშვილი** სარედაქციო კოლეგია: **ზ. ბოლქვაძე** (მთ. რედ. მოადგილე) **ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია** (მხატვ. რედ.), **გ. ნიჟნიანიძე, გ. სიხარულიძე** (პ/მგ. მდივანი), **გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე**
● ტექნიკური რედაქტორი **მ. კუხალაშვილი,** ● **სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი".** ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ● გადაეცა ასაწყობად 7/III-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IV-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 775 უე 00690 ტირ. 145.000 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: გ. ლომიძე, ჟ. დეისაძე, მ. აბაშიძე, ნ. ბართაია, ვ. კუცია, ა. ოქროპირიძე, მ. მჭედლიშვილი, ა. ერაძე.

№ 170
19. IV 1978

7-78 78-170



ეროვნული ბიბლიოთეკა

Индекс 76137




სეპარატული მარშრუტით



ნახ. გ. ლომიძისა

აფრიკა იმპერიალიზმს!




# „უოტერგეიტის შემოსავალი"

ამერიკის პოლიტიკოსთა (რომელთა შორის არა ერთი და ორი დიდი პოლიტიკური მოღვაწეა გარეული) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი ღვაწლია XX საუკუნის ყველაზე დიდი სკანდალი — „უოტერგეიტის საქმე", მაგრამ აღარც ის არის დასამალი, რომ მათ, ვინც 1972 წელს ჩაიფიქრა და განახორციელა ეს ბიზნესი, გარჯა დაუფასდათ, კერძოდ რა? აღნიშნულ წელს ისინი იდუმალ შეიჭრნენ დემოკრატიული პარტიის შტაბში, რომელიც ვაშინგტონის ოტელ „უოტერგეიტში" იყო მოთავსებული, საქმის წამომწყები და იდეური ხელმძღვანელი თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი გახლდათ, რომელიც, შემდგომში, იძულებული გახდა, ამ სკანდალის გამო მიეტოვებინა პრეზიდენტის პოსტი.

მაგრამ ბიზნესი ბიზნესია! ფულის გასაკეთებლად ყველა ხერხი კარგია! ეს აშშ-ში ჩვეულებრივი ლოზუნგია. არავის აფიქრებს და არც არავის სჭრის თვალს. ამიტომ არავისაც არ გაკვირვებია, როდესაც რიჩარდ ნიქსონს სატელევიზიო ინტერვიუებისა და მემუარებისათვის, რომელიც ამა წლის მაისში გამოქვეყნდება, უკვე გადაუხადეს... 5 მილიონი დოლარი (!).



ნიქსონთან ერთად „საქმეში გასულებმაც" მიიღეს თავიანთი წილი. ჰოვარდ ჰანტმა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა აგენტმა, მიიღო 450 ათასი დოლარი იმისათვის, რომ ნება დართო გადაეღოთ ფილმი მისი „საქმიანობის" შესახებ. საქმიანობა კი ის გახლდათ, რომ ჰ. ჰანტი იყო ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი დემოკრატების შტაბის შელეწვისა „უოტერგეიტში!" პრეზიდენტის ყოფილმა თანაშემწემ ერილჰმანმა 80 ათასი დოლარი ჩაიჯიბა, პრეზიდენტის გადარჩევნების კომიტეტის წევრმა მაგრუდრმა—100.000 დოლარი! პრეზიდენტის მრჩევლებს ჰოლდემანს და კოლსონს ორმოცდაათ-ორმოცდაათი ერგოთ. პრეზიდენტის იურისკონსულტს ჯონ დინს — 320 ათასი... ჭეშმარიტების გულისთვის უნდა აღიარებულ იქნეს, რომ ეს თანხა დინმა დიდი შრომით მიიღო — 48 პრესკონფერენცია ჩაუტარა „უოტერგეიტის საქმეზე" აბეზარ ჟურნალისტებს. ტიტანური შრომაა!

ვინლა გაბედავს ამის შემდეგ იმის თქმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დანაშაულს შემოსავალი არ მოაქვს?!

იფურჩქნება ბიზნესი „თავისუფლების" ქვეყანაში!